სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 ოქტომბერი 2005 №237 (2560) ფასი 50 თეთრი

ზოგი კალათაში, ზოგიც ურნაში

საქართველო ჭარტა-ჭურტებშია

2

ვინ იქნება ბრილიანტი?

ფიფას 30-კაციანი სარჩევი

8

ლოკომოტივს ველარც სინს ართმევენ, ველარც ქულას

13

მერაბ ჟორდანიას სახლ-კარსაც ალარ უტოვებენ

ბადრი ალთოლაბის ფოტო

ხელისუფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და თბილისის „დინამოს“ ექსპრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას კვლავ უტევს — ორჯერ დაპატიმრებულ-გათავისუფლებულ, ფედერაციის პრეზიდენტობაზე იძულებით უარის მთქმელ ჟორდანიას ახლა სახლი და მანქანა დაუყადაღეს.

— ჟორდანიას სახლი და „მერსედესი“ საგადასახადო დეპარტამენტმა დააყადაღა — ჟორდანიას თბილისის „დინამოში“ საქმიანობის დროინდელ ამბებზე ედავებიან. ეს სისხლის სამართლის კი არა, სამოქალაქო საქმეა. მე ჯერ რწმუნება არ მაქვს, რათა საქმეს დეტალურად გავეცნო და ვერ გეტყვით, ზუსტად რის საფუძველზე დაუყადაღეს ჟორდანიას ბინა და მანქანა — გვითხრა ჟორდანიას ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

ერთი სიტყვით, ჟორდანია ხელისუფლებაში ვიღაცას ძალიან არ უყვარს. ჟორდანია ახლა შვეიცარიაშია.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგუჩაძე დინამოს უჩივის?



გია გეგუჩაძის ფოტო

კულუარული, მაგრამ სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ამბავი: გია გეგუჩაძემ თბილისის „დინამოს“ სასამართლოში უჩივლა.

გეგუჩაძეს და „დინამოს“ ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ, თუმც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომას „დინამოს“ მმართველი დირექტორი და აღმასკომის წევრი გიორგი ტყავაძე არ დაესწრო და სწორედ იმ აღმასკომზე ითქვა, ტყავაძე იმიტომ ვერ მოვიდა, რომ გეგუჩაძის საჩივართან დაკავშირებით სასამართლოშია დაბარებულიო — ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაცია, რომლის სისწორეზე ჯერჯერობით თავს ვერ დავდებთ.

შეგახსენებთ, რომ გია გეგუჩაძე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მარტში გაათავისუფლეს, თუმც გეგუჩაძეს „დინამოში“ კონტრაქტი ამოწურული არ ჰქონდა და ალბათ სწორედ კონტრაქტით დადგენილ გასამრჯელოს ითხოვს კიდეც.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „დინამოს“ ახლანდელი მწვრთნელი კახა ცხადაძე კლუბში უკონტრაქტოდ მუშაობს და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „დინამო“ იმიტომ არ აფორმებს კონტრაქტს ცხადაძესთან, რომ მერე გეგუჩაძის მსგავსი ისტორია არ განმეორდეს.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო მილეთი გეგუჩაძე — „დინამოს“ ფინანსურ დავაზე ლაპარაკობს.

ბურთი დინამოელებს ფოტო

ზოგი კალათაში, ზოგიც ურნაში

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, ავსტრია-შვეიცარიაში გაიმართება.

მართალია, იქამდე საკმაო დროა, მაგრამ უეფა აქედანვე იჭერს თადარიგს — ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ შესარჩევი ტურნირისთვის ნაკრებები გუშინ განთესა კალათებში, კენჭისყრა კი 2006 წლის 27 იანვარს გაიმართება.

ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში 50 ქვეყნის ნაკრებები ითამაშებენ, ხოლო ავსტრია და შვეიცარია, როგორც ჩემპიონატის მასპინძლები, თავისუფალნი არიან.

გუნდები სიძლიერის მიხედვით შვიდ კალათში არიან გადანაწილებულნი, ანუ, შესაბამისად, შეიქმნება შვიდი შესარჩევი ჯგუფი. აქედან ექვსში შვიდი გუნდი მოხვდება, მხოლოდ ერთი ჯგუფი იქნება 8-გუნდიანი.

ჩვენთვის კი, ცხადია, საინტერესო ისაა, რომელ კალათში მოხვდა საქართველო — უეფასეული კრიტერიუმებით ჩვენი ეროვნული გუნდი მოლოდინისამებრ მეექვსე კალათაშია (ისე, ისიც საკითხავია, რომელი გუნდია მე-7 კალათაში ჩვენზე სუსტი).

განთესილთა სრულ ნუსხას ქვემოთ გთავაზობთ და იქვე ჩვენ მიერ შედგენილ ორ ჯგუფსაც გაეცნობით, რომელთაც პირობითად სუსტი და ძლიერი დავარქვათ.

დანარჩენი კი თავად განსაჯეთ და დათვალეთ...

გიორგი ვაზაკიძე

I კალათა

საბერძნეთი, ჰოლანდია, ინგლისი, პორტუგალია, ჩეხეთი, საფრანგეთი, შვედეთი

II კალათა

გერმანია, იტალია, ხორვატია, პოლონეთი, თურქეთი, ესპანეთი, რუმინეთი

III კალათა

სერბეთი, რუსეთი, დანია, ბულგარეთი, ნორვეგია, უკრაინა, სლოვაკეთი

IV კალათა

ბოსნია, ლატვია, ირლანდია, ბელგია, ისრაელი, შოტლანდია, სლოვენია

V კალათა

უნგრეთი, ფინეთი, ესტონეთი, უელსი, ლიტვა, ალბანეთი, ისლანდია

VI კალათა

საქართველო, მაკედონია, ბელარუსი, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია, კვიპროსი, მოლდოვა

VII კალათა

ლიხტენშტაინი, აზერბაიჯანი, ანდორა, მალტა, ფარერები, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, სან მარინო

სარგბიელის ვერსია

სუსტი ჯგუფი

საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ლატვია, ისლანდია, **საქართველო**, სან მარინო

ძლიერი ჯგუფი

ჰოლანდია, ესპანეთი, სერბეთი, ირლანდია, უნგრეთი, **საქართველო**, ლიხტენშტაინი

ბაბუნაშვილს კიევი გამოუნერეს

დინამოს ექიმები უცხოეთში ჰყავს

თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გაუშვა უცხოეთში სამკურნალოდ — ამჯერად შოთა ბაბუნაშვილი, რომელიც გაწყვეტილ ჯვარედინ იოგებს კიევში გაიმრთელებს, შემდგომ სარეაბილიტაციო კურსსაც იქვე გაივლის და უკან ნოემბერში დაბრუნდება.

სეზონის წინ ქუთაისის „ტორპედოდან“ „დინამოში“ გადაბარგებულმა ბაბუნაშვილმა ახალ კლუბში სულ რამდენიმე მატჩის ჩატარება მოასწრო, ითამაშა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და, როცა ჩვეულ სათამაშო კონდიციას მიუახლოვდა, სწორედ მაშინ დაშავდა. ჯვარედინი იოგები მან დაახლოებით ერთი თვის წინ გაიწყვიტა და, რა თქმა უნდა, გუნდსაც ჩამოშორდა. ექიმების ვარაუდით, ბაბუნაშვილი თამაშს გაზაფხულიდან თუ განაახლებს.

შეგახსენებთ, რომ ბაბუნაშვილზე უფრო მძიმედ არიან დაშავებულნი „დინამოს“ მეორე ქუთაისელი ნახევარმცველი გია ნერგაძე და მცველი შოთა კაშია. ისინი ამჯერად გერმანიაში, შტუტგარტის ცნობილ სამედიცინო ცენტრში მკურნალობენ და ამ სეზონში ველარ ითამაშებენ.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე დღის წინ „დინამოსთან“ ერთად ვარჯიში განაახლა კაპიტანმა სერგო ორბელაძემ, ვისაც ასევე საკმაო დრო გაუცდა და ჯერჯერობით დატვირთვებს ერიდება, თამაშს კი ალბათ ერთ-ორ კვირაში შეძლებს.

კოტა ინასარიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთა ბაბუნაშვილი (№8) „დინამოს“ წლეულს ველარ დაეხმარება

თემურ მახარაძე შვებულებაშია

„ზესტაფონი“ დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ დაუხვდება და დაუხვდება ახალი მთავარი მწვრთნელით — კობა ჟორჟიკაშვილით. ეს გუშინდელი ინფორმაციაა და ჩვენც ზესტაფონელთა უკვე ყოფილ თავკაცი თემურ მახარაძე მოვიკითხოთ.

იმერული კლუბის პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძემ გვაცნობა, მახარაძემ ერთი თვით ითხოვა შვებულებაში გასვლა, დაისვენებს და ისევ დაუბრუნდება „ზესტაფონს“, ოღონდ რა ამპლუაში, ჯერ უცნობია. „ჩვენ არ დავივიწყებთ თემურ მახარაძის ღვაწლს ჩვენი კლუბისაღმი. ის მართლაც შესანიშნავი მწვრთნელია“ — გვითხრა ფუტკარაძემ.

ილია ნანოგაშვილი

გერმანია

II ბუნდესლიგა. IX ტური

ალენი 2:2 კარლსრუე

მიუნხენი 1:0 პადერბორნი

ჰანზა 1:0 აუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIII ტური

ოსნაბრიუკი 2:0 კიოლნი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XI ტური

კობლენცი 1:0 ჰოფენჰაიმი

პოლონეთი

I ლიგა. X ტური

ლეჩნა 0:0 ლეხი

ინგლისი

I ლიგა. XIV ტური

ჩელტენჰემი 0:3 გრიმსბი

ნორთჰემპტონი 1:0 ოქსფორდი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXVIII ტური

კორკი 1:0 დროჰედა

ბოჰემიანი 3:1 ჰარპსი

სტ პატრიკსი 0:0 დუბლინი

დერი 2:0 შემროკი

ბრეი 1:0 უოტერფორდი

პორტუგალია

სუპერლიგა. VII ტური

რიუ ავე : ბრაგა

გვიან დამთავრდა

ჰოლანდია

ეროვნული დივიზიონი VIII ტური

ტილბურგი 0:0 სპარტა

II დივიზიონი XIII ტური

ვენლდამი 1:0 აპელდორნი

გრაააფსხაპი 1:1 ეძსელსიორი

დორდრეხტი 1:1 ჰსვ (მ)

ჰელმონდი 2:1 ემენი

მაასტრიხტი 1:0 იგლსი

ალმერე 2:0 კამბური

ოსი 3:1 სიტარდი

ზვოლე 1:1 ვენლო

საფრანგეთი

II დივიზიონი XII ტური

ვალენსიენი 3:0 კლერმონი

ბასტია 1:1 ლორიანი

შატორუ 1:0 სეტე

ლე ავრი 0:2 სედანი

მონპელიე 3:1 ისტრი

კრეტეი 3:1 ლავალი

კაენი 1:1 გრენობლი

ამიენი 0:0 რეიმსი

იტალია

სერია B. IX ტური

ტრიესტინა 2:1 მოდენა

ავსტრია

I დივიზიონი XV ტური

კუფშტაინი 1:4 აუსტრია (ლ)

შვანენშტადტი 1:3 ლინცერი

კაფენბერგი 1:1 ლეობენი

კერნტენი 0:0 გრატკორნი

ალტახი 1:2 აუსტრია (მ)

შვეიცარია

სუპერლიგა. XII ტური

თუნი 5:1 სენტ გალენი

ჩელენჯლიგა. XII ტური

იუვენტუსი 1:1 ლოკარნო



გადღის კეთილაძის ფოტო

რევაზ არველაძე: თუ გავჩუმდი, ეფექტური ვერ ვიქნები

რევაზ არველაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, თუმც ბოლო მომენტში კანდიდატურა მოხსნა. მაშინვე ითქვა, არველაძეს ამის სანაცვლოდ ვიცე-პრეზიდენტობას დაჰპირდნენო და ასეც მოხდა — ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომაზე ის ვიცე-პრეზიდენტად დაამტკიცეს. რა ფუნქციები დაეკისრება არველაძეს? მასთან ინტერვიუ ამ შეკითხვით დავიწყეთ...

— ამის შესახებ დეტალურად ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ მე ალბათ წმინდა საფეხბურთო საკითხებზე ვიმუშავებ. რაც შეეხება დანაჩრენ ორ ვიცე-პრეზიდენტს, დიმიტრი რამიშვილი ალბათ ეროვნულ ჩემპიონატს გაუწევს კურატორობას, ის ხომ პროფლიგის პრეზიდენტია, ხოლო გოგი ქავთარაძე უფრო საზოგადოებასთან ურთიერთობაზე იმუშავებს.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენ და ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უკვე თანაგუნდელები ხართ?

— რა თქმა უნდა, ეს ასეა.

— მაგრამ ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე თქვენ მხარი არ დაუჭირეთ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაიოზ დარსაძის კანდიდატურას...

— თანაგუნდელობა იმას არ ნიშნავს, რომ მე განსხვავებული აზრი არ მექნება. თუ ჩემს მოსაზრებებს თავისუფლად ვერ ვიტყვი, ჩემ ვიცე-პრეზიდენტობას არანაირი ეფექტი არ ექნება.

— თქვენ მხარი არ დაუჭირეთ დარსაძის კანდიდატურას, მაგრამ ვერც ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზეთ აღმასკომს...

— მე აღმასკომის იმავე სხდომაზე ამირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად და მანამდე არანაირი უფლებამოსილება არ გამაჩნდა ალტერნატიულ ვარიანტზე სამუშაოდ, მაგრამ დარსაძის კანდიდატურის მხარდაჭერისგან თავი რომ შევიკავე, ამით ჩემი პოზიცია დავაფიქსირე.

— თქვენმა ძმამ, შოთამ ნაკრებში თამაშზე ამ ეტაპზე უარი განაცხადა — ეს უხერხულობას არ უქმნის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ არველაძეს?

— შოთას დიდი დამსახურება აქვს ქართული ფეხბურთის წინაშე და ისე უნდა მოიქცეს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. არც იმაზე უნდა გვქონდეს პრეტენზია, დარსაძემ შოთა ნაკრებში დაგვიანებით გამოიძახა თუ არა, რადგან გამოსაძახებელია თუ არა შოთა არველაძე ნაკრებში, ამაზე კამათი სასაცილოდ მეჩვენება. ერთი სიტყვით, ჩემი ძმის უარის გამო მე არანაირი უხერხულობა არ მექმნება.

— ნაკრების ასეთი სახით გაახალგაზრდავებაზე რა აზრის ხართ?

— ნაკრების გაახალგაზრდავება ზოგადად კარგია, მაგრამ კონკრეტულ ფეხბურთელებზე კარგის თუ ცუდის თქმა საჯაროდ არ მსურს — ამით ახალგაზრდა ფეხბურთელები ემოციურად, ფსიქოლოგიურად დაიტვირთებიან. მთავარია, ნაკრებისთვის ფეხბურთელების შერჩევა არ შეგვეშალოს.

— სამი წლის წინ გერმანიის საფეხბურთო კავშირის მიერ გაცემული სამწვრთნელო B ლიცენზია აიღეთ, ახლა კი ისე გამოდის, რომ მწვრთნელობაზე ხელი აიღეთ...

— ამ ეტაპზე ეს მართლაც ასეა. არც ერთი იმ ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელის არ მშურს, ვისაც ასეთ ძნელ პერიოდში უწევს მწვრთნელობა.

— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხართ და პასუხისმგებლობაც გაგაჩნიათ — რას ეტყოდით გულშემატკივარს?

— ქართველ გულშემატკივარს კარგი გემოვნება აქვს. ქომაგები კრიტიკულები და მომთხოვნები უნდა იყვნენ, მაგრამ ნაკრების მიმართ მეტი სიყვარულია საჭირო. თუ გულშემატკივარი ხარ, მაშინ ნაკრებს ჭირშიც და ლხინშიც გვერდში უნდა ედგე, თუ არა და, მაშინ მხოლოდ მაყურებელი ხარ.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში რა პოზიტიურ ასპექტებს ხედავთ?

— მომწონს, რომ 19 და 21-წლამდელთა ნაკრებები ერთ სისტემაში არიან მოქცეულნი, თუმც 21-წლამდელთა ნაკრებს უკეთესი შედეგი მართებდა, მინიმუმ 16-17 ქულა უნდა მოეგროვებინა ამ შესარჩევ ციკლში.

დავით თავართქილაძე

დამრტყმელი

დავით მუჯირს ნაკრებში გასატანი შტურმში გააქვს

ფოტო ალექსანდრ ბოლოტოვის

ყაზახეთთან და საბერძნეთთან ბოლო სანაკრებო მატჩებისას საქართველოს ნაკრებიდან მეტოქეს ვინმე თუ ანერვიულებდა, პირველ ყოვლისა ავსტრიული „შტურმის“ ნახევარმცველი დავით მუჯირი. მისი ღონიერი ფეხისა და დარტყმის ამბავი გეცოდინებათ და ლამის ცენტრიდან გატანილი გოლებიც გეხსომებათ. მუჯირმა თავისი კოზირის გამოყენება ყაზახეთთან და ბერძნებთანაც ბევრჯერ სცადა, სხვადასხვა პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსვლია, მოედანი ორჯერვე უგოლოდ დატოვა. თუმცა ეს ნაკრები იყო, სადაც დათოს თავის გამოჩენის საშუალება ამ ბოლო დროს თუ ჰქონდა, თავის კლუბში კი გოლი გოლზე გააქვს და მათი უმეტესობა სწორედ შორიდან დარტყმით.

დავით მუჯირს გუშინ ავსტრიაში დავუკავშირდით და ვიდრე ჩემპიონატის დღევანდელი მატჩისთვის „შტურმს“ შეკრებაზე შეუერთდებოდა, სანაკრებო ამბებზე ვესაუბრეთ...

— ამ ორ თამაშში მეტოქის კარისკენ ბარე თხუთმეტჯერ დავარტყი, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანე, ცოტა რომ გამმართლებოდა– განსაკუთრებით სახიფათოდ ბერძნების მეკარეს ვურტყამდი, მიზანი კი ვერაფრით გავისწორე.

— შორეული დარტყმებით ყოველთვის კი გამოირჩეოდი, მაგრამ არა ასეთი სიხშირით. ეს მწვრთნელის დავალება იყო?

— ყაზახეთთან მატჩისას მეტოქის ყველა ფეხბურთელი თავის საჯარიმოში ჩაიკეტა და კართან მიახლოება შეუძლებელი იყო. ამიტომაც საჯარიმოს გარედან დარტყმა იქნებოდა ეფექტური. საბერძნეთსაც, მოგეხსენებათ, როგორი დაცვის ხაზი აქვს, ევროპის ჩემპიონატზე სულ ოთხი გოლი გაუშვა. მოკლედ რომ ვთქვა, შორეული დარტყმები დავალებაც იყო და თავადაც ვცდილობდი, საამისოდ ყველა მომენტი გამომეყენებინა.

— ნაკრებში ადრე იშვიათად ჩანდი, თუმც ახლა, ახალი მწვრთნელის ხელში ყველა შეკრებაზე გამოგიძახეს. შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— ყაზახეთთან და საბერძნეთთან შეუცვლელად ვითამაშე და ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ისიცაა, რომ ნაკრებმა სასურველი შედეგი ვერ მიიღო, თავად კი გოლი ვერ გავიტანე. მომავალში მეტს ვეცდები.

— მომავალი ოფიციალური მატჩები კი შემოდგომიდან დაიწყება. საქართველოს ამჟამინდელი ნაკრების შემხედვარეთ, რისი იმედი უნდა გვქონდეს?

— სხვათა შორის, ავსტრიაში ერთ-ერთი გერმანული არხი ოტო რეჰაგელის ინტერესის გამო ჩვენი ჯგუფის ყველა მატჩს აჩვენებდა. საბერძნეთ — საქართველოს მატჩი კი „შტურმის“ მწვრთნელმა ნახა და გუნდში დაბრუნებულს გაკვირვებულმა მკითხა, ევროპის ჩემპიონებთან ასე კარგად ითამაშეთ და შესარჩევ ჯგუფში ათ ქულაზე მეტი როგორ ვერ მოაგროვეთო. მწვრთნელი ჩემი თამაშითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ მოავარია, რომ ნაკრები მოეწონა. საბერძნეთთან შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩი გვქონდა და იმ თამაშის ხარისხს თუ გავითვალისწინებთ, ერთი წლის შემდეგ უკეთესი გუნდი უნდა გვყავდეს. შემოდგომამდე რამდენიმე ამხანაგურიც გვექნება, შემადგენლობაც, ალბათ, უფრო სტაბილური გვეყოლება, შევთამაშდებით და... მომავალ შესარჩევ ეტაპამდე ფეხბურთელებიც ალბათ თავიანთ კლუბებში რეგულარულად ითამაშებენ და სხვა მცირე პრობლემებიც მოგვარდება.

— მცირე პრობლემებში რას გულისხმობ?

— არის რაღაც ნიუანსები, თუმც, ვიმედოვნებ, ყველაფერს მალე ეშველება და ნაკრები ახლანდელზე ძლიერი გვეყოლება.

— კლუბში შენი საქმეები როგორაა?

— ჩინებულად. საბერძნეთიდან გუშინ დავბრუნდი, დღეს კი მწვრთნელი შაბათის მატჩის ძირითადისთვის მამზადებს. „შტურმის“ ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ მაქვს, ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილია. ნაკრებისგან განსხვავებით კი კლუბში გოლებიც გამაქვს, უკვე ხუთი მომიგროვდა. სეზონის დაწყების წინ „შტურმის“ მიზანი ჩემპიონატში მეხუთე ადგილი იყო, მაგრამ ახლა ჩვენი თამაშის გათვალისწინებით, მადა მოგვემატა და ევროსაგზურისთვის ბრძოლას ვაპირებთ. თუმცა ახლა ზედიზედ ოთხი მატჩი სწორედ ოთხეულის გუნდებთან გვაქვს და მათთან უფრო გამოჩნდება, რისი ძალა შეგვწევს.

— კიდევ დიდხანს აპირებ „შტურმში“ დარჩენას?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია, „შტურმი“ დავტოვო თუ არა. კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს მიმთავრდება, მაგრამ ორი კვირის წინ სამი წლით გაგრძელება შემომთავაზეს. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე და ხელმძღვანელობას პასუხს დეკემბერში ვაცნობ. თანაც ახლა „შტურმის“ პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება. ისე, ახალი კონტრაქტი ამჟამინდელზე უკეთესია და ვნახოთ, ალბათ, დავრჩები კიდეც.

კოტა ინასარიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 9 ტური

გადელიამ გაბელიას მოუგო

უნერვიულო, ალალი და უსაყვედურო

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 1 500)

სოხუმი 2:1 ბათუმი

0:1 მანწკავა (3), 1:1 გადელია (26), 2:1 წერეთელი (86)

სოხუმი: ავ. ბალაძე, ედგარი, წერეთელი, ზ. ჯელაძე (ქყოიტე 20), გ. ჩხაიძე, ხაჩიძე, რუსია, ბომახიძე (ი. ჭანტურია 83), გაგუა (ლ. ჩხაიძე 72), ედგარ. გადელია. სათადარიგოები: სუფიანშვილი, შამუგია, მამფორია, მოლოდინი

მწვრთნელი: გოჩა ყორგოლიანი

ბათუმი: ბაიალაძე, ბეგლარ თუდორაძე, სიდამონიძე, გუშინაშვილი, ი. მასარაძე (ტიტარენკო 88), ა. ჯელაძე, გ. მანწკავა, ბესიკ თედორაძე (ფირცალიაშვილი 57), დარჩიძე (ცანავა 58), ა. მიქელაძე. სათადარიგოები: ხარებლიანი, ბალაბუა, გოგიშვილი, სარაზი

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: რუსია (60), სიდამონიძე (78)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

ილია ნანობაშვილი

გასულ კვირას, საბჭოეთის დროს თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გონგს რომ შემოჰკრავდნენ ხოლმე? ზუსტად 85-ე წუთი მიმდინარეობდა გუშინ „შევარდენზე", როცა ბათუმელთა მცველმა კახა სიდამონიძემ თავის საჯარიმოში სოხუმელ თემურ გადელიას მაისურაზე დაჰქაჩა და წააქცია. მსაჯმა ალექსანდრე მეშკოვმა პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი და მამუკა წერეთელსაც ნერვი არ შეტოკებია — 2:1. ასე მოიგო „სოხუმმა", არადა, ბევრი არ ელოდა, ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი მიჯრით ორი მოგებით გულმიცემულ „ბათუმს" თუ წამოაქცევდა.

რაღაცნაირად უცნაური თამაში იყო: პირველი ის, რომ, რაც მომენტები შეიქმნა, გუნდებმა თითქმის 100 პროცენტით გამოიყენეს და მეორეც, „ბათუმის" თავკაცი ოთარ გაბელია უჩვეულოდ მშვიდად ადევნებდა თამაშს თვალს და სკამიდან ერთხელაც კი არ წამომდგარა — არც მაშინ, მეშკოვმა „მკვლელი" პენალტი რომ დანიშნა.

თამაში კი სწორედ გაბელიას ბიჭების კონტროლით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე გიორგი მანწკავას საჯარიმოდან დარტყმული ძელასხლეტით შევარდა კარში. მანწკავა მთლიანობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბათუმელთა შორის და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ზედიზედ მესამე თამაშია, უგოლოდ არ გადის მოედნიდან.

სწრაფმა გოლმა სტუმრები აშკარად მოადუნა და „სოხუმმა" ტემპს უმატა, ისინი უფრო შმაგად მიიწევდნენ კარისკენ და მე-17 წუთზე ვალერი გაგუას საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ცოტა იღბლიანი რიკოშეტი რომ მოჰყოლოდა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა — ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა ირაკლი თოთლაძის კარს.

და მაინც, გოჩა ყორყოლიანის გუნდმა მალე გაათანაბრა: 26-ე წუთზე შოთა ჩომახიძის ჩაწოდებულს ვეტერანმა ფორვარდმა თემურ გადელიამ ზუსტი თავური შეაგება და... აქაც ძელასხლეტით აფართხალდა ბურთი ბადეში — 1:1 და პირველი ტაიმიც ისე მორჩა, გასატანი არც ერთ გუნდს არ ჰქონია.

მეორე ნახევარიც იგივე სცენარით გაგრძელდა, ოღონდ ეგაა, სიხისტემ იმატა, ყველა ბურთისთვის ბრძოლა იყო და ორივე გუნდს შეტევაში ფანტაზია აკლდა. გამთამაშებელ ვიტალი დარჩიძის შეცვლამ „ბათუმის" შუა ხაზი დაასუსტა, „სოხუმიც" არ ჰგავდა მოგებაზე დაგეშილს და თითქოსდა ქულები ძმურად უნდა გაყოფილიყო, მაგრამ... ორწუთიან მონაკვეთში მასპინძლებს უფრო გაუმართლათ — 83-ე წუთზე ბათუმელთა ფორვარდმა გიორგი მიქაძემ თავური ოდნავ ააცილა, ორ წუთში კი თემურ გადელიამ საპირველტაიმო გოლს ერთი სახეიროც მიამატა — მონადირებული პენალტი და მისი სამქულიანი ჯანი...

სიონი	8	7	1	0	15:4	22
ბორჯომი	8	7	0	1	18:4	21
ლოკომოტივი	8	6	2	0	13:2	20
ვიტ ჯორჯია	7	5	1	1	12:5	16
დინამო	8	4	1	3	10:6	13
ამერი	8	4	1	3	7:7	13
ბათუმი	9	4	1	4	6:6	13
დილა	8	4	0	4	12:7	12
ზესტაფონი	7	4	0	3	5:4	12
ოლიმპი	8	4	0	4	5:8	12
ჯახეთი	8	3	0	5	6:13	9
ტორპედო	8	2	1	5	5:8	7
სოხუმი	9	2	1	6	9:20	7
ცხინვალი	8	2	0	6	4:12	6
სპარტაკი	8	1	1	6	1:8	4
თბილისი	8	0	0	8	2:15	0



თემურ გადელია „სოხუმ" — „ბათუმის" მატჩში გამორჩეული იყო

ფოთი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

ოლიმპი — ამერი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

თელავი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. მიკი ჩოხელი

ჯახეთი — დილა

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი); **ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

თბილისი — ლოკომოტივი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ხ. გაგნიძე (ორივე გორი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

ზესტაფონი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — ტორპედო

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); გ. ასკაროლი (ქარელი); **ინსპექტორი:** ე. სილაგავა

გორი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ძარღვი

ცხინვალი — სპარტაკი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი); **ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

მცხეთა. 15 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ბორჯომი

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

თბილისი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ერეკლეული

დინამო — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი); **ინსპექტორი:** ნ. კაკულია

საქართველოს ფეხბურთის ლიგა — საქართველოს ჩემპიონატი — 17 — ჩემპიონატი — 10 ტური — პირველი — წრე

მასპინძლ(ტ)ური

პირველი ლიგის მეათე ტური სენსაციებით გამოირჩა — ლიდერია სამეულში მყოფმა გუნდებმა — „ამერი 2"-მა, „დინამო 2"-მა და „მერანმა" ერთნაირი ანგარიშით (0:1) წაგეს. საინტერესოა ისიც, რომ სამივემ სტუმრად იწვნია მარცხი: ამერელებმა ლანჩხუთის „გურიასთან" წაიფორხილეს, დინამოელებმა აგარის „მეშაქრესთან", ხოლო „მერანი" ტყიბულში „მეშახტეს" დაეჩაგვრინა.

წაგებამ „ამერი 2"-სა და „დინამო 2"-ს ძვრა ვერ უყო — ისინი მაინც პირველ-მეორე ადგილებზე არიან, აი, აქამდე მესამეადგილოსანი „მერანი" კი ერთბაშად ორი საფეხურით ჩაქვეითდა.

საერთოდაც, მეათე ტური ძაან მასპინძლური გამოდგა — რვა თამაშიდან შვიდში სწორედ დამხვდურებმა იმარჯვეს. ერთადერთი გუნდი, ვინც მასპინძელს „ხმამაღალი სიტყვა" შეჰკადრა, „თბილისი 2"-ია: დედაქალაქელებმა „ლიახვს" 2:0 აჯობეს.

ტური კი ისევ მატჩნაკლული გამოდგა: „ზესტაფონი 2" — „ვიტ ჯორჯია 2" იმერელი ფეხბურთელების საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში მიწვევის გამო გადაიდო.

კახა შალამბერიძე

მეშახტე 1:0 მერანი

ჩიხურა 3:2 რუსთავი

ლოკომოტივი 2 4:1 მაღაროელი

გურია 1:0 ამერი 2

ლიახვი 0:2 თბილისი 2

ზუგდიდი 1:0 საგარეჯო

მეშაქრე 1:0 დინამო 2

მესხეთი 3:2 გაგრა

გადაიდო

ზესტაფონი 2 — ვიტ ჯორჯია 2

ამერი 2	10	7	1	2	18:7	22
დინამო 2	10	6	2	2	19:6	20
მეშაქრე	10	6	2	2	14:7	20
ჩიხურა	8	6	1	1	27:9	19
მერანი	10	5	3	2	12:6	18
გურია	9	5	2	2	19:10	17
რუსთავი	10	5	2	3	17:14	17
მეშახტე	10	4	3	3	11:7	15
მესხეთი	9	4	3	2	12:12	15
ზუგდიდი	10	4	3	3	5:6	15
გაგრა	9	3	4	2	11:8	13
ლოკომოტივი 2	10	4	1	5	10:15	13
საგარეჯო	10	3	2	5	7:11	11
ვიტ ჯორჯია 2	9	2	2	5	7:10	8
თბილისი 2	10	2	2	6	10:19	8
ლიახვი	10	2	0	8	10:25	6
მაღაროელი	10	1	1	8	7:29	4
ზესტაფონი 2	8	0	0	8	7:22	0

ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

ჩელსის ბოლტონი ახლოვს

IX ტური

დღეს

ჩელსი	:	ბოლტონი
ლივერპული	:	ბლეკბერნი
მიდლსბრო	:	პორტსმუთი
სანდერლენდი	:	მანჩესტერი
ტოტენჰემი	:	ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი	:	არსენალი
უიგანი	:	ნიუკასლი

ხვალ

ბირმინგემი	:	ასტონ ვილა
სიტი	:	ვესტ ჰემი

ზეგ

ჩარლტონი	:	ფულემი

სადღეისო ვითარება

ჩელსი	8	8	0	0	18:2	24
ჩარლტონი	7	5	0	2	12:7	15
ტოტენჰემი	8	4	3	1	9:5	15
მანჩესტერი	7	4	2	1	10:5	14
ბოლტონი	8	4	2	2	9:6	14
სიტი	8	4	2	2	9:6	14
არსენალი	7	4	1	2	10:4	13
უიგანი	7	4	1	2	7:5	13
ვესტ ჰემი	7	3	3	1	11:5	12
მიდლსბრო	8	3	2	3	9:11	11
ბლეკბერნი	8	3	2	3	7:9	11
ნიუკასლი	8	2	3	3	5:7	9
ლივერპული	6	1	4	1	4:6	7
პორტსმუთი	8	1	3	4	5:9	6
ბირმინგემი	8	1	3	4	7:12	6
ასტონ ვილა	8	1	3	4	8:14	6
სანდერლენდი	8	1	2	5	6:11	5
ფულემი	8	1	2	5	7:13	5
ვესტ ბრომვიჩი	8	1	2	5	7:15	5
ევერტონი	7	1	0	6	1:9	3

ბოლო ხუთ ტურში ოთხი მატჩის მომგები „უიგანი" „ნიუკასლს" უმასპინძლებს, რომელმაც მაიკლ ოუენის მისვლის შემდეგ თამაში გამოასწორა. მასპინძელთა მწვრთნელი პოლ ჯიუელი არხეინადაა, რადგან ტრავმირებულები არ ჰყავს, ხოლო ნიუკასლელთა თავკაც გრემ სუნესს შვიდი ფეხბურთელი აკლია: კირონ დაიერი, ალბერტ ლუკე, ტიტუს ბრამბლი, კრეიგ მური, სელესტინ ბაბაიარო და ნოლბერტო სოლანო. ზაფხულში შეძენილი ემრე ბელოზოღლუს 28 აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია, რაკი „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში დაშავდა, მაგრამ ახლა მომჯობინდა და გასულ ოთხშაბათს ალბანეთთან ერთი ტაიმიც „დაჭაშნიკა". სუნესმა იგი შეიძლება ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს.

„ჩელსი" მიჯრით მეცხრე მატჩის მოგებას ეცდება. ლონდონელთა მეტოქე „ბოლტონია", შარშან „სტემფორდ ბრიჯზე" 0:2-იდან რომ „გამოძვრა" და 2:2 გახადა. ყოზე მაურინიუს დამიენ დაფი დააკლდება, მაგრამ მისთანები ბევრი ჰყავს, ამიტომ შეცვლაც არ გაუჭირდება.

გაცილებით რთული იქნება სემ ალარდაისისთვის ჯეი ჯეი ოკოჩას შემცვლელის მოძებნა. ნიგერიელი ფეხბურთელი ორი კვირის წინ „უიგანთან" დაშავდა, მერე სამშობლოში ჩავიდა ნაკრების დასახმარებლად, მაგრამ ექიმებმა თამაშის ნება არ მისცეს.

„ლივერპულს" წინა ტურში „ჩელსიმ" 4:1-ით გვარიანი ალიყური აჭამა. ეს სეზონში პირველი მარცხი იყო ჩემპიონთა თასის მფლობელებისა, რომლებმაც პრემიერლიგაში ჯერჯერობით ერთი მატჩის მოგება შეძლეს. დღეს რაფაელ ბენიტესს „ბლეკბერნის" ძლევა მართებს, რათა ჩელსური სირცხვილი ჩამოირეცხოს. საინტერესოა, რომ „ლივერპულმა" ექვს ტურში ოთხ გოლზე მეტი ვერ გაიტანა. მათზე უარესი შედეგი მხოლოდ თანაქალაქელ „ევერტონს" აქვს.

„ბლეკბერნის" ნეხვარმცველმა რობი სევიჯმა სასჯელი მოიხადა და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება, ხოლო კრეიგ ბელამის ტრავმა კვლავ გაუმიზეზდა.

წინა სეზონში „ევერტონმა" იყოჩაღა, ახლა კი ისე დაჩაჩანაკებულა, რომ ცხრილის ფსკერზე „დევს". დევიდ მოიესის გუნდი ისე მოიშალა, შვიდ მატჩში ერთ გოლზე მეტის გატანა ვერ მოახერხა. დღეს „ტოტენჰემთან" გამოჩნდება, როგორ გამოიყენა მოიესმა ორკვირიანი შესვენება. ლივერპულელებს ნახევარმცველი მიკელ არტეტა დააკლდებათ, დევიდ ვეირის, ჯეიმს ბიტისა და პერ კროლდრუპის თამაში კი საეჭვოა.

„ტოტენჰემს" ტრავმამოშოშებული მაიკლ კარიკი, იუნგ ლი და მიდო დაუბრუნდნენ, მაგრამ უეინ რუტლეჯი ენტონი გარდნერი და გორან ბუნიევჩევიჩი დაშავებულნი არიან.

„სანდერლენდმა" სამ ტურში ხუთი ქულა მოაგროვა და ბოლო ადგილიდან ამოძვრა. „შავ კატებს", რომლებიც „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობენ, ნახევარდაცვის ორი მთავარი კაცი არ ეყოლებათ. ხულიო არკა და კრისტიან ბასილა ტრავმირებულნი არიან, ხოლო ალან სტაბსი და გარი ბრინი გამოკეთდნენ. მიკ მაკარტის გუნდს შინ თამაში ჯერ არ მოუგია. საეჭვოა, რომ პირველი გამარჯვება „მანჩესტერ იუნაიტედთან" იზეიმონ.

დიდიე დროგბა (მარჯვნივ) ამჯერად „ბოლტონის" გამწვრთნელს შეეცდება

„არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერს პრობლემები არ ელევა. ამჯერად ეშლი კოული გახდა სამკურნალო და თვენახევარი გუნდს ვერ დაეხმარება. ცოტა ხნის წინ გამოჯანმრთელებული სოლ კემპბელს ტრავმა ისევ გაუმიზეზდა, ალექსანდრ გლებიც დაშავდა, ხოლო ჟილბერტო პარასკევს ჩავიდა ლონდონში და სადღეისოდ მზად არაა. ასეთი დანაკლისით ესტუმრებიან „მეთოფფები" „ვესტ ბრომვიჩს", რომელსაც თავის მხრივ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს თამაში.

„პორტსმუთის" ფრანგ მწვრთნელ ალენ პერენს მალე მოხსნიან, თუ გუნდმა ასე გაგრძელა. ბოლო ორ ტურში პორტსმუთელებმა გოლი ვერ გაიტანეს და ფრანგსაც ამას ედავებიან. პერენს „მიდლსბროსთან" მატჩი ელის, რომელიც შეიძლება მისთვის გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

„მანჩესტერ სიტი" „ვესტ ჰემთან" ტრევონი სინკლერისა და რობი ფაულერის გარეშე ითამაშებს, ბირმინგემში კი დერბი შედგება, რომელშიც ჯერჯერობით დაჩაგრული „ასტონ ვილაა". ბოლო ექვსი ჯახიდან „ბირმინგემმა" ოთხი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა.

წინა ტურის სიმბოლური ნაკრები 3-4-3



გუნდი: ჩელსი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ (ჩელსი)

ისევ რუნი და თან ბლატერი ჩელსის სოუსით

რახან ინგლისის ნაკრები საბოლოო ჯამში მაინც დამაჯერებლად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, უმაღლესი მიზანიც დაისახა.

ისიც უნდა ითქვას, რომ გულში ინგლისელები ყოველთვის უმაღლეს მიზანს ისახავენ, მაგრამ აგერ უკვე 40 წელიწადია, არ გამოსდით.

თუმცა, ამას ისინი არასოდეს გაუტეხია.

ახლაც ასეა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ მთელი ექვსი თვეა, ინგლისში კი ყველა მომავალ გეგმებზე ლაპარაკობს.

მაგალითად, უეინ რუნიმ თქვა, რომ წელიწადნახევარია სანაკრებო გოლი არ გაუტანია და საგოლე ყისმათს ზაფხულისთვის ინახავს.

რუნიმ ევრო 2004-ზე 4 გოლი შეაგდო, ახლა კი აცხადებს: „ვიცი, რომ ამ დონეზე გატანა შემიძლია. ამ შეჯიბრში მონაწილეობაზე ვოცნებობ".

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გლენ ჰოდლი კი ამბობს, რომ რუნი ინგლისელთა მარადონა იქნება მსოფლიო ჩემპიონატზე: „ამ თამაშების ისტორიას რომ გადააკლო თვალი, ყველა დიდ გუნდს ჰყავდა განსაკუთრებული ფეხბურთელი, რომელსაც სხვები გამარჯვებისკენ მიჰყავდა: პლატინი — ფრანგებს, მარადონა — არგენტინელებს. ჩვენც გვყავდა ასეთი 1966 წელს, ბობი ჩარლტონი.

ასეთ ფეხბურთელს შეუძლია მთელი გუნდი წაიყოლიოს. გინდაც ბრაზილიას ეთამაშებოდე და რუნიმ ვერ გაიტანოს, ის ისე ირჯება მოედანზე, რომ სხვებს ხელფეხი ეხსნებათ. მე მგონია, რომ რუნის შეუძლია დიდი როლის თამაში".

ამ დღეებში 19 წლის ინგლისელის შესახებ ილაპარაკა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. მან თქვა, რომ რუნის ბობოქარი ხასიათი უნდა ჩაუმშვიდდეს და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა მენეჯერებმა უნდა თქვან. მეტიც, ბლატერმა ციურიხში, შტაბბინაში მიიპატიჟა რუნი, შენი პრობლემები გავარჩიოთო.

იმის მიუხედავად, რომ პოლონეთთან მატჩში ვუნდერკინდი წესიერად იქცეოდა, ბლატერს მაინც ჰგონია, რომ ბიჭს მოწესრიგება სჭირდება.

„უეინი ცხრა ნომერია" — თქვა ფიფას თავკაცმა — ვიცი ეს რა არის. მეც ცხრა ნომერი ვიყავი და მეც მიჭირდა მოედანზე წესიერად მოქცევა — ის ყმაწვილია და მაღალ დონეზე თამაშობს. ამიტომ ის სრულ კონტროლსა და წესრიგში უნდა ჰყავდეთ, რათა ბობოქარი ხასიათი ჩაუქრეს. ამ საქმეში დახმარებას სერ ალექსისა და მისტერ ერიკსონისგან ველი. მინდა უფრო მკაცრად მოექცნენ. მათ შეუძლიათ უთხრან, შენ სრულიად განსაკუთრებული ნიჭის ადამიანი ხარ, მაგრამ თუ სწორად არ მოიქცევი, თამაშს გააფუჭებ".

რუნის ამბები რომ მოითავა, ბლატერმა „ჩელსის" მილიონებიც ახსენა: „ლონდონში რომ ვიყავი, სხვათა შორის, „ვესტ ბრომვიჩის" უფროსობასაც შევხვდი. მათ მითხრეს, რომ „ჩელსის", „მანჩესტერისა" და „არსენალის" წინააღმდეგ არასოდეს გამოჰყავთ საუკეთესო შემადგენლობა, რადგან იციან, რომ მაინც წააგებენ. საუკეთესო შემადგენლობას „ბირმინგემის", „ფულემისა" და „სანდერლენდისთვის" ვინახავთო.

სხვაგან ასეთი რამ არ არის, ეს მხოლოდ პრემიერლიგის პრობლემაა. ფეხბურთი კი მარტო მდიდრებისთვის არ არის".

ირაკლი გამყრელიძე

იტალია

ალექსი კანდელაკი

ჩეხები დაბრუნდნენ

მარეკმა ტრავმა მოიშუშა, ნედვედმა გადაიფიქრა

პაველ ნედვედმა ნაყრებიდან წასვლა გადადო

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ტურინის „იუვენტუსი“ საკუთარ „დელე ალპიზე“ „მესინას“ მიიღებს. „ბებერ ქალბატონს“ ბრწყინვალე დებიუტი აქვს და, ბუნებრივია, სიცილიელებთანაც ფავორიტად ითვლება. გუნდის თითოეული მოთამაშე გამარჯვებაში დარწმუნებულია, მაგრამ მეტოქეს აგდებით არ ეკიდება — ფრთხილად უნდა ვიყოთო.

შესაძლოა, ტურინელებს ორი ლიდერი დააკლდეთ — ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და პატრიკ ვიეირამ ნაკრებში თამაშისას მცირე ტრავმები მიიღეს. მოლდოვასთან ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ ძირითადში ვიხილავთ ალექს დელ პიეროს. მის მეწყვილედ კი, თუ ჯანზე იქნება, იბრაჰიმოვიჩი მოგვევლინება, ანაც დავიდ ტრეზეგე. კვლავ ლაზარეთში მყოფი ჯიჯი ბუფონი, ალესანდრო ბირინდელი და ჯონათან ძებინა ისევ რომ ვერ გავლენ მინდორზე, თავადაც მოგეხსენებათ. სტუმრებს კი მარკო ძანკი და ალესანდრო პარიზი არ ეყოლებათ.

„იუვეს“ ძირითადში იქნება პაველ ნედვედიც, რომელმაც მცირე ტრავმა მიიშუშა. პარალელურად, ჩეხმა სანაკრებო კარიერის დასრულება კიდევ ერთხელ გადაიფიქრა და გუშინ განაცხადა, თუ დამიძახეს მზად ვარ დავბრუნდე და ეროვნულ გუნდს ნორვეგიასთან პლეი ოფის მატჩებში დავეხმარო, რათა მუნდიალზე გასვლა გაგვიადვილდესო.

„კალიარი“ „მილანს“ ანდრეი კამპანოლოს, ჯო ბიზერასა და დანიელე კონტის გარეშე დაუხვდება. „როსონერის“ კი კვლავ არ ეყოლება მასიმო ამბროზინი. თავდასხმაში კარლო ანჩელოტი შევჩენკო-ჯილარდინოს წყვილს დააყენებს, ხოლო კრისტიან ვიერი მინდორზე სავარაუდოდ მოგვიანებით შევა. სარდინიელებთან მატჩში ეგებ მინდორს მარეკ იანკულოვსკი დაუბრუნდეს, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და უკვე განაცხადშია.

მეორე მილანური კლუბი შინ „ლივორნოს“ მიიღებს. რობერტო მანჩინის არ ეყოლება დეიან სტანკოვიჩი, რომელიც საკმაო ხნით დაშავდა და „ნერო აძურის“ ლაზარეთში ხავიერ და კრისტიანო ზანეტის მიუჯდა. მანჩინის სეხნიას და წარსულში არანაკლებ ლეგენდარულ ფეხბურთელ დონადონის მხოლოდ ერთი შეგირდი აკლია, მაგრამ ისეთი, რამდენიმეს რომ უდრის. ლივორნოელთა კაპიტანი და აშკარა ლიდერი კრისტიანო ლუკარელი დისკვალიფიცირებულია.

საინტერესო და ლაღი მატჩის მოლოდინშია რომი. „სტადიო ოლიმპიკოს“ „ფიორენტინა“ სტუმრობს, ხოლო მასპინძელი „ლაციო“. ფლორენციელები ფაქტობრივად უდანაკარგოდ არიან. დედაქალაქელები კი სეზარსა და რობერტო ბარონიოს მოისაკლისებენ. მომჯობინდა იგლი ტარე, მაგრამ ალბანელი სათადარიგოთა სკამზე იქნება.

და ბოლოს, „რომაც“ ვახსენოთ, რომელიც „ემპოლის“ შეერკინება. „სტადიო კასტელონის“ ბინადრებს მირკო გასპარეტო ჰყავთ დაშავებული, ხოლო „გლადიატორებს“ ლეანდრო კუფრე. ანტონიო კასანომ კი, რომელიც ძირითად შემადგენლობას უნდა დაბრუნებოდა, ახალი შარი აიტეხა — ვარჯიშისას ერთი შეხედვით საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ახლა დასვენება მოუწევს. ლუჩანო სპალეტი შეტევაში ალბათ ვინჩენცო მონტელასა და როდრიგო ტადეის გაამწესებს. მათ უკან ფრანჩესკო ტოტი იქნება, ხოლო შაბანი ნონდა სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს.

VII ტური

დღეს

სიენა	:	იუვენტუსი
იუვენტუსი	:	მესინა

ხვალ

ასკოლი	:	სამპდორია
კალიარი	:	მილანი
ემპოლი	:	რომა
ინტერი	:	ლივორნო
ლაციო	:	ფიორენტინა
პალერმო	:	კიევო
პარმა	:	ტრევიზო
რეჯინა	:	ლეჩე

საჯარიმო ვითარება

იუვენტუსი	6	6	0	0	12:2	18
მილანი	6	4	1	1	11:5	13
ფიორენტინა	6	4	1	1	14:9	13
სამპდორია	6	4	0	2	13:8	12
ინტერი	6	4	0	2	10:5	12
ლივორნო	6	3	2	1	7:4	11
პალერმო	6	3	2	1	11:10	11
კიევო	6	3	1	2	6:4	10
სიენა	6	3	1	2	12:11	10
ლაციო	6	3	1	2	9:9	10
უდინეზე	6	3	0	3	7:7	9
რომა	6	2	2	2	9:5	8
ემპოლი	6	2	1	3	6:9	7
ასკოლი	6	1	3	2	6:7	6
ლეჩე	6	1	1	4	5:9	4
პარმა	6	1	1	4	5:11	4
რეჯინა	6	1	0	5	6:12	3
მესინა	6	0	3	3	6:12	3
კალიარი	6	0	3	3	4:10	3
ტრევიზო	6	0	1	5	1:11	1



ბერლინი

ვაჟა ხუციშვილი

ხუთიდან ხუთი

შარშანდელ სეზონში „შალკე“ ერთადერთი იყო, „ბაიერნს“ რომ ეჭიდავებოდა, მაგრამ 19 მარტის მერე, როცა გელზენკირხენში „ხუმარებმა“ მაგათის გუნდი დაამარცხეს, ვითარება შეიცვალა. „ბაიერნმა“ მარცხს მოჯრით ცხრა მოგება მიაყოლა, ჩემპიონი გახდა და საბოლოოდ „შალკე“ 14 ქულით ჩამოიტოვა.

მარტში წაგების შემდეგ მიუნხენელებმა 15 მატჩიანი უძლეველი სერია „გამოაცხვეს“, რომელიც სამი კვირის წინ „ჰამბურგმა“ შეაწყვეტინათ. მიუხედავად ამისა, „ბაიერნი“ კვლავ ცხრილის თავშია, ხოლო „შალკე“, რომელიც ფელიქს მაგათის გუნდს დღეს მასპინძლობს, მეტოქეს ხუთი ქულით ჩამორჩება.

„აუფ შალკეზე“ ბოლო ხუთი სტუმრობიდან „ბაიერნი“ ხუთჯერვე ხელცარიელი გაუშვეს.

„უნდა გავტეხოთ ნავსი. ახლა ჩვენც შევიცვალეთ სტადიონი და ეგებ ამან გვიშველოს — იხუმრა ფელიქს მაგათმა — ჩემი გუნდი კარგ ფორმაშია და გელზენკირხენში მოსაგებად ჩავალთ“. „ბაიერნის“ თავკაცს მიხაელ ბალაკისა და კლაუდიო პიზაროსი ეიმედება, რომლებმაც ტრავმა მოიშუშეს.

მაინცში ლევერკუზენელთა ახალი მწვრთნელის, მიხაელ სკიბეს დებიუტი შედგება. სკიბე პირველ რიგში დაცვის გამოსწორებას ეშურება. „ბაიერს“ ბრაზილიელი მცველი ჟუანი გამოუკეთდა და მწვრთნელსაც ეს ახარებს. „გუნდმა ბევრი გოლი გაუშვა. უპირველესად დაცვის ხაზი უნდა გავაძლიეროთ“ — თქვა სკიბემ.

მაინცელებს ჯერ საშინაო მატჩი არ მოუგიათ და, ცხადია, „ბაიერთან“ შეეცდებიან პირველი გამარჯვების მოპოვებას.

„ვოლფსბურგი“, მუქთად დრო არ დავკარგოთო, შუა კვირაში ამხანაგურად გაეჯიბრა მოყვარულთა გუნდ „ჰალბერშტადტს“ და... 1:2 წააგო. დღეს კი „ჰამბურგს“ ეწვევა, სადაც 1997 წლის შემდეგ არ მოუგია. ჰამბურგელთა უძლეველმა სერიამ 19 მატჩს უწია. თომას დოლის შეგირდებს მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადაბრძანების შანსი აქვთ, თუ „ბაიერნი“ გელზენკირხენში წაიფორთხილებს. მასპინძლებს დანიელ ვან ბუიტენი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს ეგებ სტივ მარლე ვერ დაეხმაროს, რადგან ვარჯიშზე დაშავდა.

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტი“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შეჩერებას ეცდება, რომელმაც მიჯრით სამი მატჩი მოიგო. შტუტგარტელებს დისკვალიფიცირებული იონ დალ ტომასონი არ ეყოლებათ. ტრაპატონის ერთი ფორვარდი, კაკაულა შერჩა.

„კაიზერსლაუტერნი“ მეოთხე ტურში „ვერდერთან“ 1:5 მარცხის შემდეგ წახდა, ოთხიდან სამი შეხვედრა წააგო და გოლი ვეღარ გაიტანა. „წითლები“ დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუხვდებიან და, ცხადია, შეეცდებიან, გამარჯვების გემო გაიხსენონ. დორტმუნდელებს ვეება ჩეხი ფორვარდი იან კოლერი დააკლდებათ.

ბრემენის „ვერდერს“ მისავათებული „ნიურნბერგის“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. თომას შაფის გუნდს შეტევა კარგად ეხერხება და ამჟამად ბუნდესლიგაში საუკეთესო თავდასხმის ხაზი ჰყავს.



IX ტური

დღეს

ვერდერი	:	ნიურნბერგი
არმინია	:	ჰერტა
მაინცი	:	ლევერკუზენი
შტუტგარტი	:	გლადბახი
ლაუტერნი	:	დორტმუნდი
შალკე	:	ბაიერნი
ჰამბურგი	:	ვოლფსბურგი

ხვალ

დუისბურგი	:	აინტრახტი
კიოლნი	:	ჰანოვერი

საჯარიმო ვითარება

ბაიერნი	8	7	0	1	17:5	21
ჰამბურგი	8	6	2	0	17:4	20
ვერდერი	8	6	1	1	21:10	19
შალკე	8	4	4	0	10:5	16
ჰერტა	8	4	2	2	12:9	14
გლადბახი	8	4	2	2	10:9	14
ვოლფსბურგი	8	3	3	2	11:12	12
ლევერკუზენი	8	3	2	3	15:14	11
დორტმუნდი	8	2	4	2	11:10	10
შტუტგარტი	8	2	4	2	9:9	10
კიოლნი	8	3	0	5	11:13	9
ჰანოვერი	8	1	4	3	9:12	7
ლაუტერნი	8	2	1	5	10:18	7
დუისბურგი	8	1	3	4	11:16	6
ნიურნბერგი	8	1	3	4	6:11	6
არმინია	8	1	3	4	6:13	6
მაინცი	8	1	1	6	5:12	4
აინტრახტი	8	1	1	6	3:12	4

ესპანეთი

ლადო ხომერიკი

სამხრეთამერიკული გარჩევა მადრიდში



პაბლო გარსიასა (მარცხნივ) და რობერტო კარლოსის „რეალს“ დაძაბული მატჩი ელის

VII ტური

დღეს

ალავესი	:	ვილიარეალი
ატლეტიკო	:	რეალი
დეპორტივო	:	ბარსელონა

ხვალ

ვალენსია	:	მალაგა
ბეტისი	:	ხეტაფე
სარაგოსა	:	სოსიედადი
მესპანიოლი	:	კადისი
ბილბაო	:	სევილია
მალიორკა	:	რასინგი
ოსასუნა	:	სელტა

საფლეისო ვითარება

ხეტაფე	6	4	2	0	11:6	14
სელტა	6	4	1	1	10:6	13
რეალი	6	4	0	2	14:6	12
ოსასუნა	6	4	0	2	7:5	12
ბარსელონა	6	2	3	1	11:7	9
ვალენსია	6	2	3	1	10:9	9
დეპორტივო	6	2	3	1	6:5	9
სარაგოსა	6	1	5	0	8:6	8
ვილიარეალი	6	2	2	2	9:8	8
ატლეტიკო	6	2	1	3	6:6	7
მალაგა	6	2	1	3	7:8	7
რასინგი	6	2	1	3	3:4	7
ესპანიოლი	6	2	1	3	5:7	7
სოსიედადი	6	2	1	3	9:14	7
სევილია	6	1	3	2	4:5	6
კადისი	6	1	3	2	4:6	6
ბეტისი	6	1	3	2	4:7	6
ბილბაო	6	1	2	3	7:9	5
ალავესი	6	1	2	3	6:10	5
მალიორკა	6	1	1	4	7:14	4

„ატლეტიკო — რეალის“ ჯახს არგენტინა-ბრაზილიის შერკინებას ნუ ადარებთ, ეს შიდამადრიდული გარჩევაა და მეტი არაფერიო, უთხრა „ათლეტთა“ მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ სპორტულ მედიას. 15 ოქტომბერს „ვისენტე კალდერონზე“ სამხრეთამერიკელთა სიმრავლის შესახებ მართლაც ბევრი საუბრობს. რახან „ატლეტიკოს“ 4 არგენტინელი ჰყავს და „რეალს“ ამდენივე ბრაზილიელი, პრესამ პრიმერას მეშვიდე ტურის შეხვედრას წინდაწინვე „არგენტინა-ბრაზილიის მატჩი“ უწოდა.

კარლოს ბიანკის შეგირდებმა 2 ოქტომბერს „მალაგა“ დაამარცხეს და ახლა ცხრილში მეათე ადგილზე არიან. მათი გალაქტიკოსი მეტოქე კი „ხეტაფეს“ და „სელტას“ მერე პრიმერას მესამე პოზიციას იკავებს. „ატლეტიკოს“ ტრავმირებული გალეტი არ ეყოლება. „რეალის“ თავკაცი ლუშემბურგო კი ტრადიციულ როტაციებს მიმართავს, ურუგვაელი პაბლო გარსიასა და გუტის მაგივრად გრავესენი და ზიდანი შემოვლენ. მასპინძელთა სამწუხაროდ, „ვალდერონზე“ იქნება რონალდოც, რომელმაც ვენსუელას ნაკრებთან თამაშში მუხლი იტკინა, თუმც პრიმერას მატჩისთვის მომჯობინება მოასწრო. კიჭას „ატლეტიკოსთან“ გოლები სულ გაჰქონდა და ბიანკის მცველებსაც მისი ამიტომ ეშინიათ. „ვისენტე კალდერონის“ ბინადრებმა პრიმერადივიზიონში „რეალს“ ბოლოს 6 წლის წინ მოუგეს.

დღესვე გალისიური „დეპორტივო“ ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ მასპინძლობს. „რიაზორის“ თამაშს წინ კაიძალი ინტრიგები ერთვოდა. „დეპორის“ ადვოკატებმა „ბარსას“ შემადგენლობაში არგენტინელი მესის ყოფნა გაასაჩივრეს — პრიმერას მეექვსე ტურში „სარაგოსასთან“ რომ იბურთავა, ამით არაევროკავშირელთა ლიმიტი დაარღვიაო. გალისიური არმადა ცხრილში მეშვიდეა და რახან არც ერთ ევროპულ გათამაშებაში არ მონაწილეობს, მთელი ყურადღება ესპანეთის ჩემპიონატზე აქვს გადატანილი.

„ბეტისს“ ლიდერ „ხეტაფესთან“ საკვირაო მატჩში დაშავებული ლუის ფერნანდესი არ ეყოლება, ბერნდ შუსტერის გუნდი კი „რუის დე ლოპერას“ ტრავმირებული ნანოსა და სელესტინის გარეშე მიაკითხავს. ამათ კუბილიო და ვივარ დორადო შეცვლიან. „ალავესის“ ლაზარეთი ედუ ალონსომ, კარერასმა და პოლიმ ვერ დატოვეს, ამიტომაც „ვილიარეალთან“ მათი ბუნებიანობა საეჭვოა. ბასკების სტუმრებს თავის მხრივ კიკე ალვარესი და პენია დააკლდებიან. „ესპანიოლი“ „კადისს“ მომჯობინებულ რაულ ტამუდოსთან ერთად დაუხვდება. ასევე „ბილბაოს“ დაშავებულები, ტიკო და გურპეგიც მორჩენილან და „სევილიას“ წინააღმდეგ აუცილებლად იბრძოლებენ. „სევილიამ“ ხეზონი ცუდად დაიწყო. გასავარდნი ხონდან ანდალუზიელებს ერთი ქულა აკლიათ და, ცხადია, „ატლეტიკოთან“ შერკინებას ეურაღლებით მოეკიდებიან.

წინა ტურის სიმბოლური ნაკრები 4-4-2



საკი და მისი ფავორიტი რეალი



არიგო საკი, მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორი, ცოტა ხნის წინ ესპანური „მარკას“ ჟურნალისტს გაესაუბრა. იტალიელი სპეციალისტის აზრით, გალაქტიკოსებს ამ სეზონში ყველანაირ ჯილდოს მოგება შეუძლიათ, თუმცა ამის მისაღწევად „რეალმა“ მოედანზე მაქსიმალური თავდადება და გუნდური თამაში უნდა უჩვენოს. საკიმ მედიასთან შეხვედრისას მადრიდელთა მწვრთნელის, ლუშემბურგოს მიერ განხორციელებული როტაციების სისტემაც მოიწონა

როტაციების შესახებ

„რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში სულ ერთი და ივივე მოთამაშეების ყოფნა რისკიან ნაბიჯად მიმაჩნია. ამას წინათ „მილანი“ მოედანზე კაფუს, პირლოს, კაკასა და ჯილარდინოს გარეშე გამოვიდა, „იუვენტუსში“ კ.-ემერსონს და ნედვედს არ უბურთავია... „ჩელსის“ შესახებ ხომ აღარაფერს ვამბობ... თუ სულ ივივე შემადგენლობას ვათამაშებთ, გუნდის დონე დაეცემა, დაღლილობა და ტრავმები შეგვაწუხებს. მთელი ევროპა როტაციებს მიმართავს. ჩვენთან ამას გავაკეთებთ თუ არა, ვანდერლეი ლუშემბურგოზეა დამოკიდებული.

რეალის ახალი ფეხბურთელები

გუნდის გაახალგაზრდავება იმ მობურთალებით ვცადეთ, რომლებიც ახლაც კარგად ირკვევიან და სამომავლოდაც ბევრ გამარჯვებას მოგვიტანენ. კარლოს დიოგოზე დიდ იმედს ვამყარებ და მისი ოსტატობისა მჯერა. მართალია, ჟულიო ბაპტისტა დახვეწილი მოთამაშე არ არის, მაგრამ გარკვეულ დროს „რეალს“ მისი დარი მებრძოლებიც სჭირდება. პაბლო გარსია ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს. იგი მოედანზე ძალიან მოკლე ხანში გადაიქცა გუნდის სრულუფლებიან წევრად. სერხიო რამოსი კი თავის მხრივ უნდა დაწყნარდეს და არბიტრებს წამდაუწუმ შენიშვნებისთვის საბაბი არ მისცეს. თუმც გეტყვით, რომ სერხიოს ბოლო წითელი ბარათი არ დაუმსახურებია, მას „რეალში“ წარმატების მისაღწევად ყველანაირი მონაცემები აქვს.

2005-06-ის ჩემპიონთა ლიგა

ევროპაში დღეს დანარჩენებზე ძლიერად ორი გუნდი, „ჩელსი“ და „იუვენტუსი“ თამაშობენ. მათი ფეხბურთი შეიძლება ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ამ გუნდებს არასტაბილურობაში ნამდვილად ვერ დავდანაშაულებთ. პირადად მე ჩემი „რეალის“ ძალაში ვარ დარწმუნებული და მჯერა, რომ საქმე საქმეზე რიცა მიდგება, ნებისმიერ მეტოქეს არასასიამოვნო სურპრიზებს შევთავაზებთ. რატომღაც ევროპული გრანდების „იუვეს“, „მანჩესტერის“, „ჩელსისა“ და „მილანის“ თავკაცებს „რეალი“ საჩემპიონთალიგო ფავორიტად არ დაუსახელებიათ...

დევიდ ბექემი

მისი ბურთაობის სტილი ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს. ვურჩევ, გუნდურ თამაშში უფრო მეტად ჩაერთოს. ეს „რეალისთვის“ და ბექემისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება. დევიდი უნივერსალური ფეხბურთელი არ არის, თუმცა მოედანზე თავის საქმეს უმაღლეს დონეზე აკეთებს.

ლადო ხომერიკი



მაქსი რეალს ომს შეჰპირდა

მადრიდის „ატლეტიკომ“ მრისხანე მეზობელი „რეალი“ ბოლოს 1999 წლის 30 ოქტომბერს დაამარცხა. მას შემდეგ „ათლეტებს“ გალაქტიკოსებთან გამარჯვების სიხარული არ უნახავთ — შინ და სტუმრად ფიესტას მადრიდის თეთრად შემოსილი ნაწილი მართავდა ხოლმე. მიუხედავად ამ სტატისტიკისა, მაქსი როდრიგესს, „ატლეტიკოს“ არგენტინელ ნახევარმცველს, მოახლოებულ დერბიში „რეალის“ წაქცევის იმედი აქვს.

„შეცდებით, თუ ამ თამაშში ფავორიტად „რეალს“ ჩათვლით. „ვალდერონზე“ თავგანწირულად ვიბურთავებთ და ლუშემბურგოს გუნდი კი არა, მსოფლიოს ნაკრები რომ შეგვხვდეს, მაინც მოვუგებთ“ — თავდაჯერებულად უთხრა როდრიგესმა ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოს“.

არგენტინელის აზრით, მეტოქის ყველაზე სახიფათო მობურთალი რონალდოა, თუმც „ათლეტებთან“ მარტო კიჭა ვერაფერს გახდება.

„მეტოქისგან სხვაზე სახიფათოდ რონალდოს ვთვლი. თუკი დანარჩენებმა ხელი შეუწყვეს, ნებისმიერ მოწინააღმდეგის გაჭარბება შეუძლია. ამიტომაც „რეალს“ სათამაშო სივრცე უნდა დავუხშოთ“ — აღნიშნა როდრიგესმა.

წინა სეზონში არგენტინელმა „სამეფო კლუბთან“ გვარიანად გაილადა — მაშინ „ესპანიოლმა“ „რეალს“ 1:0 მოუგო და ის ოქროს ბურთიც დღეს „ატლეტიკოს“ რიგებში მყოფმა მაქსიმ გაიტანა.

„გალაქტიკოსების დამარცხება არც ისე ძნელია, როგორც ეს ერთი ნახვით ეჩვენებათ. მთავარია, მოედანზე შენს ოსტატობას მაქსიმალური თავგანწირვა შეუთავსო“ — თქვა ნახევარმცველმა.

ლადო ხომერიკი

კაპელოს თვალი ევროპაზე უჭირავს

ედვიგეს მადურომ „იუვენტუსი“ მოხიბლა

ფაბიო კაპელოს თქმით, მისთვის პრიორიტეტული ჩემპიონთა ლიგაა. შარშან, როცა ის „იუვენტუსის“ მწვრთნელად დაინიშნა, პირველივე ცდაზე შეძლო სკუდეტოს მოპოვება, ახლა კი ევროპას უმიზნებს.

„არა მგონია, ჩემს არჩევანში მარტო ვიყო. ვიცი, ფანების უმეტესობასაც ახლა ლიგის მოგება ურჩევნია. დაახლოებით ისეთივე არჩევანია, როგორც შოკოლადის ნაყინსა და ვანილის ნაყინს შორის. ამჯერად ერთ-ერთს ვანიჭებ უპირატესობას“ — განაცხადა კაპელომ „რადიო რეპუბლიკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„იუვემ“ წლეულს სერია A-ში ფანტასტიკური სტარტი აიღო, ექვსიდან ექვსი თამაში მოიგო. ამას ძირითადად (კაპელოს სამწვრთნელო გენიის არ ჩათვლით) გუნდის ვარსკვლავურ შემადგენლობას მიაწერენ. აი, რას ფიქრობს თავად „გენერალი“ ამის შესახებ:

„ხალხს ციფრები უყვარს. კიდევ დიდი ხანი ისაუბრებენ ექვსიდან ექვსზე და ასე შემდეგ. თუმცა ეს არ არის მთავარი. თუ სტატისტიკას მივუბრუნდებით, მაშინ ჩემი საუკეთესო გუნდი ოთხმოცდაათიანი წლების „მილანი“ იყო, რომელმაც ყველა რეკორდი დაამხო. რა თქმა უნდა, შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს ჩვენი გუნდი ვარსკვლავებითაა გაჭედილი, მაგრამ როდის არ იყო ასე? ჩვენ გვყავს იბრაჰიმოვიჩი, რომელიც ნელ-ნელა ღვინდება. ის გენიალური ფეხბურთელია და რაც აკლია, იმასაც მალე შეიძენს. სწორედ ეს არის ჩემი საქმე. გვყავს ვიეირა, რომელიც ემერსონთან ერთად მსოფლიოში საყრდენ ნახევარმცველთა უძლიერეს ტანდემს შეადგენს. ბუფონი დაგვემტვრა, მაგრამ მის გამოჯანმრთელებამდე აბიატი გვათხოვეს, რომელიც ჩინებული მეკარეა. ეგ არის, ასაკით არ არიან პატარები ჩვენი ფეხბურთელები, მაგრამ შეხედეთ, მალდინი ოცდაჩვიდმეტისაა! ანუ ხარისხი არ ბერდება“.

იმ დროს, როცა კაპელო ტაქტიკურ მონახაზებს ჩაჰკირკიტებს და ევროპის დაპყრობის გეგმებს აწყობს, მისი სკაუტები აიაქსელ ედვიგეს მადუროს აკვირდებიან.

ლუჩანო მოჯი ჰოლანდიისა და ჩეხეთის თამაშს დასწრებია და მადუროს თამაშით აღფრთოვანებულა.

მადურო ოცი წლისაა, „აიაქსს“ ეკუთვნის და თუ ვინმეს მისი შეძენა სურს, სულ რაღაც 200 000 გირვანქის გადახდა მოუწევს.

ზურაბ გოცირიძე

ბრილიანტის ბურთზე სერია A-დან ცხრა კაცი წარადგინეს

ფიფას ვერსიით მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზზე სერია A-ს ცხრა ფეხბურთელია წარდგენილი, მათ შორის სამი იტალიელი: პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა და ჯიჯი ბუფონი.

კაკა, კაფუ, შევჩენკო, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი და ნედვედი კი იტალიის პირველობას ლეგიონერების სახით წარმოადგენენ. სულ კი ფიფას ნომინანტა სიაში ოცდაათი ფეხბურთელია.

გამოკითხვა ნოემბერში ჩატარდება და ძირითადად ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებსა და კაპიტნებს შორის. ნოემბრის ბოლოს კი გამოირჩევა სამი ფეხბურთელი, რომლებიც საბოლოოდ გაითამაშებენ ამ პრესტიჟულ ჯილდოს. ფიფა გამარჯვებულს 19 დეკემბერს დაასახელებს. ცერემონია ციურიხში შედგება.

მოგეხსენებათ, ეს ჯილდო ბოლოს ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ვარსკვლავ რონალდინიოს ერგო.

აქვე გაცნობებთ ოცდაათივე პრეტენდენტის ვინაობას: ადრიანო („ინტერი“, ბრაზილია), ბალაკი („ბაიერნი“, გერმანია), ბეკჰამი („რეალი“, ინგლისი), ბუფონი („იუვენტუსი“, იტალია), კაფუ („მილანი“, ბრაზილია), კრისტიანო რონალდო („მანჩესტერ იუნაიტედი“, პორტუგალია), დეკო („ბარსელონა“, პორტუგალია), დროგბა („ჩელსი“, კოტ დივუარი), ესიენი („ჩელსი“, განა), ეტიო („ბარსელონა“, კამერუნი), ჯერარდი („ლივერპული“, ინგლისი), ანრი („არსენალი“, საფრანგეთი), იბრაჰიმოვიჩი („იუვენტუსი“, შვედეთი), კაკა („მილანი“, ბრაზილია), ლამპარდი („ჩელსი“, ინგლისი), მალდინი („მილანი“, იტალია), ნედვედი („იუვენტუსი“, ჩეხეთი), ნესტა („მილანი“, იტალია), ოკოჩა („ბოლტონი“, ნიგერია), რაული („რეალი“, ესპანეთი), რიკელმე („ვილიარეალი“, არგენტინა), რობენი („ჩელსი“, ჰოლანდია), რობერტო კარლოსი („რეალი“, ბრაზილია), რობინიო („რეალი“, ბრაზილია), რონალდინიო („ბარსელონა“, ბრაზილია), რონალდო („რეალი“, ბრაზილია), რუნი („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), შევჩენკო („მილანი“, უკრაინა), ნისტელროი („მანჩესტერ იუნაიტედი“, ჰოლანდია), ზიდანი („რეალი“, საფრანგეთი).

ზურაბ გოცირიძე

მაცონე არ მიდის



უბერებელი კარლო მაცონე ფეხბურთიდან წასვლას არ ჩქარობს. „ასწლოვანი“ ტაქტიკოსის თქმით, მას ჯერ არ აუღია ფინალური აკორდი.

შარშან კარლიტომ კინაღამ ინფარქტი მიიღო, როცა მისი „ბოლონია“ სერია **A**-დან გავარდა. ახლა უმუშევარია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სამსახურს მალე იშოვის: „მინდა კარიერა მაჟორულ ნოტაზე დავასრულო. იმიტომ კი არა, რომ მეტად პრეტენზიული ვარ, უბრალოდ, სერია **A**-ს უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე ქვედა დივიზიონებს“.

გასულ სეზონში „ბოლონიას“ თითქოს არ ემუქრებოდა გავარდნა, მაგრამ უკანასკნელი თერთმეტი შეხვედრიდან მაცონეს ბიჭებმა ერთიც ვერ მოიგეს, რის გამოც გადათამაშებაში „პარმასთან“ მოუხდათ ჭიდილი. შედეგი თქვენც მოგეხსენებათ.

მაცონეს თქმით, ამან ის სულიერად გატეხა, რადგან ამგვარი რამ პირველად დაემართა. სხვა მის ადგილზე ეგებ წასულიყო კიდეც, მაგრამ არა კარლიტო, რომელიც იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც ურჩევნია, სტადიონზე მოკვდეს. მართლაც და, რომ წავიდეს, რა აკეთოს?

ზურაბ გოცირიძე



დამიძახეთ ბობი ოროზსონი

მას შემდეგ, რაც ირლანდიის ნაკრებმა 0:0 ითამაშა შვეიცარიასთან და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა, ალაპარაკდნენ მწვრთნელ ბრაიან კერის წასვლაზე. თუმცა, ოფიციალურად ეს საკითხი გაურკვეველია.

კერმა, რომელმაც 2003 წელს ჩაიბარა გუნდი, განაცხადა, რომ არ გადადგება და მისი ბედი მისი ქვეყნის ფეხბურთის მამათა ხელშია. მას კონტრაქტი სწორედ შვეიცარიელებთან მატჩის შემდეგ დაუმთავრდა.

ირლანდიელები კერით უკმაყოფილონი არ არიან, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერგასვლა დიდ მარცხად მიაჩნიათ.

აქამდე ამბობდნენ, რომ კერის შემცვლელი თვით როი კინი იქნება, თუმცა, ახლა უფრო სერიოზულსაც გაიგონებთ: მწვანე კუნძულის ნაკრების თავკაცი მალე თვით სერ ბობი რობსონი შეიქნება.

ვნახოთ, როგორ იქნება. სერ ბობი უმუშევარია და ალბათ მოწყენილიცაა.

ირაკლი გამყრელიძე

ანჩელოტი ნაკრებზე ოცნებობს

კარლო ანჩელოტი მოხარული იქნებოდა, თუ ოდესმე იტალიის ნაკრების თავკაცი გახდებოდა. თუმც, მისივე თქმით, კონტრაქტი „მილანთან“ 2007 წელს ეწურება და მის გაგრძელებაზე ფიქრობს:

„ზუსტად ისეთი შემართებით ვარ, როგორითაც გუნდი ჩავიბარე. ჩემი მიზანია, „მილანთან“ ერთად მაქსიმუმი გავაკეთო. ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. ამის შემდეგ კი უკვე სხვა სამუშაოზეც შეიძლია ფიქრი.

იტალიის ნაკრები? დიახ, ეს ჩემი ოცნებაა!“

ცოტა ხნის წინ კლუბის წარმომადგენლებმა უარყვეს ინფორმაცია კარლიტოს გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ. ადრიანო გალიანიმ საქვეყნოდ განაცხადა, რომ გუნდის ლეგენდას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და სულ ცოტა, კონტრაქტის ამოწურვამდე მაინც შეინარჩუნებს თავის სავარძელს.

თანაც ანჩელოტი ნაკრებში მანამ ვერ წავა, სანამ მთავარი მწვრთნელის პოსტი არ გათავისუფლდება. „სკუადრა აძურას“ ახლანდელ დამრიგებელ მარჩელო ლიპის კი ნაკრებთან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე აკავშირებს კონტრაქტი.

თუ ვინძლო და იტალიამ კარგი შედეგი აჩვენა, ლიპის წასვლა და ანჩელოტის მოსვლა ავტომატურად გამოირიცხება.

ამიტომ კარლიტომ დღეს მხოლოდ „მილანზე“ უნდა იფიქროს. სხვათა შორის, ასეც იქცევა: „ჩვენ რთული სტარტი გვქონდა, მაგრამ მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მართალია, ნესტა გამოგვაკლდა ცოტა ხნით, მაგრამ სამაგიეროდ ვიერი და ჯილარდინო ჩადგნენ ფორმაში (მოლდოვასთან ორივემ გაიტანა), სულ მალე კი პიპო ინძაგიც დაგვიბრუნდება“.

ზურაბ გოცირიძე

კარემბუც წავიდა

ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა კრისტიან კარემბუმ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. 34 წლის ნახევარმცველი ბოლოს „ბასტიას“ მოთამაშე-მწვრთნელად მოგვევლინა, მაგრამ კორსიკულ კლუბში ვითარება ვერ გამოასწორა და საბოლოოდ აუცრუვდა გული.

„საკუთარ თავს და ოჯახს უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმო. 17 წელია, ფეხბურთს ვთამაშობ და ცვლილებების დროა“ — განაცხადა კარემბუმ.

